შალვა გლოველი

# საქართველოში „თანამეფობის“ ინსტიტუტის ისტორიიდან
## („ფავნელის დაწერილის“ ერთი ადგილის გაგებისათვის)

შუა საუკუნეებში „თანამეფობის“ ინსტიტუტი არ იყო უცხო არც საქართველოსთვის და არც სხვა ქვეყნების ისტორიისთვის. ამის გამომწვევი მიზეზები იყო სხვადასხვა და საქართველოს ისტორიამაც შემოგვინახა ამგვარი შემთხვევების შესახებ ცნობები. მაგალითად, თამარი მამამ - გიორგი III-მ, თანამეფედ გამოაცხადა, რომ განაწყენებულ ფეოდალებს შურისძიების მიზნით მისთვის ტახტი არ წაერთმიათ; ან შეიძლება, გიორგი მეფეს იმის შიშიც ჰქონდა, რომ ვაჟი არ ჰყავდა, ქალი კი შუა საუკუნეებში სამეფო ტახტზე ხშირად მიუღებელი იყო. ამიტომ, თანამეფობით გიორგი III-მ, გარკვეულწილად, გარანტირებულად დაუტოვა თამარს ხელისუფლების სადავე (თუმცა მისი ხელახალი კურთხევა მაინც გარდაუვალი გახდა); გარკვეულწილად თანამეფეები გახდნენ დავით ნარინი და დავით ულუ; მათ შემთხვევაში მონღოლურმა ფაქტორმა განაპირობა ორი მეფის ერთდროულად ქვეყნის სათავეში მოსვლა. როგორც ცნობილია, დავით გიორგის ძე უკანონო შვილად ითვლებოდა, და მას რუსუდანის ვაჟი დავითი ედავებოდა ტახტს. ორივე კანდიდატს თავისი მომხრეები ჰყავდა; გამომდინარე იმ ოფიციალური მიზეზიდან, რომ მონღოლები არ ცნობდნენ უკანონო შვილის ცნებას, მათ ორივე დაამტკიცეს მეფეებად. ქვეყანა ორად გაიყო, დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად, ერთს ერთი მეფე განაგებდა, მეორეს - მეორე. მონღოლებმა თითქოსდა სამართლიანობის პრინციპით იხელმძღვანელეს (არ დაუკარგეს ტახტი „უკანონოდ“ შობილ დავითს), რეალურად კი მათ საქართველოს გაყოფა მოახდინეს, რადგანაც გახლეჩილი ქვეყანა უფრო ადვილი სამართავი იყო; მაგრამ დავით ნარინისა და დავით ულუს სახელმწიფოებრივი შეგნება უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე პირადი უთანხმოება; მათ, საქართველოს სხვადასხვა მხარის დამოუკიდებლად მმართველობა, გარკვეულწილად, თანამეფობით შეცვალეს და ერთად

მართავდნენ სრულიად საქართველოს, ერთად გამოსცემდნენ ბრძანებებს. მათ თანამეფობის განსხვავებული და განსაკუთრებული ნიმუში შექმნეს. შეიძლებოდა სხვა ფაქტების მოტანაც მსოფლიო ისტორიიდანაც, მაგრამ, მიგვაჩნია, ამჯერად სიტყვის გაგრძელება ზოგადი მსჯელობის კუთხით აღარ ღირს და გადავალთ პირდაპირ ჩვენი ნაშრომის ძირითადი არსის შესახებ საუბარზე.

როგორც ცნობილია, VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება ახალი სამეფო-სამთავროები. ეს არის „არაბობის“ ხანა. მაშინ არაბული მმართველობის ძირითადი ძალა თბილისს და მის გარშემო ტერიტორიას დააწვა, ხოლო პერიფერიებზე იწყება ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-ჩამოყალიბების პროცესი. ამ სახელმწიფოების ისტორიის შესწავლა შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოებრიობის, სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და, საერთოდ, სახელმწიფო სტრუქტურული მოწყობის საკითხებში გარკვევის საშუალებას იძლევა. ამ სახელმწიფოებში ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემა, დიდწილად, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვან ცნობიერებით ქვაკუთხედად იქცა.

აღნიშნულ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთი იყო დასავლურ-ქართული – „აფხაზთა სამეფო“. ის ტერიტორიულად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ამჯერად არ მოვყვებით მისი ჩამოყალიბების და შემდგომი პერიოდის ისტორიას; ჩვენ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა სამეფოს“ ისტორიის ერთ ასპექტზე, რაც „თანამეფობის“ ინსტიტუტს უკავშირდება.

„მატიანე ქართლისას“ მიხედვით, კონსტანტინე III „აფხაზთა მეფის“ გარდაცვალების შემდეგ *„იშლებოდა ქუეყანა აფხაზეთისა ჟამ რაოდენმე. რამეთუ ესხნეს ძენი ორნი კოსტანტი მეფესა: ერთი უხუცესი და მეორე, რომელი უშვა მეორემან ცოლმან, უმრწემესი. უხუცესსა ერქუა გიორგი, უმრწემესსა ბაგრატ. და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი“* (7. 264-265). ერთ-ერთ ქართულ ისტორიულ საბუთში - **„დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი“,** ვინმე **მიქაელ „მემღუიმე“** წერს, რომ მან მიიღო

შეუვალობა - კონსტანტინესა და ბაგრატისაგან: ***„...გარდავე ლიხთ-იმერით და მოვიღე თავისუფლობისა ბრძანება კოსტანტინესი და ბაგრატისი...“*** (2. 16-19). მაშასადამე, „თავისუფლობის ბრძანებას“ გასცემენ **ერთდროულად** ლიხთ-იმერეთში, დასავლეთ საქართველოში ანუ „აფხაზთა სამეფოში“ მეფეები - კონსტანტინე და ბაგრატი (შეად. 9. 212). ეს ცნობა ძალზე საინტერესოა „აფხაზთა სამეფოს“ სახელმწიფო მმართველობის ისტორიის შესწავლის კუთხით. როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს **თანამეფობის ინსტიტუტთან** (2. 17), ანუ კონსტანტინე და ბაგრატი ერთდროულად მართავენ ქვეყანას, ერთდროულად მეფობენ „აფხაზეთში“ და ერთდროულად გასცემენ **„თავისუფლობის ბრძანებას“.**

თუ შევადარებთ „მატიანე ქართლისას“ ზემოთ ციტირებულ მონაკვეთს „ფავნელის დაწერილის“ ტექსტს დავინახავთ, რომ ამ ისტორიულ საბუთში დაცული ცნობა კონსტანტინე-ბაგრატის თანამეფობის შესახებ, რეალურ საფუძველს არ არის მოკლებული. მატიანეს ცნობა, კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს შორის საკმაოდ სერიოზული დაპირისპირების შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ კონსტანტინეს სიცოცხლეშივე იწყება ეს დაძაბულობის ხანა და სწორედ ამან გამოიწვია „აფხაზთა სამეფოში“ „თანამეფობის“ ინსტიტუტის „ამოქმედება“; მატიანე არაფერს ამბობს კონსტანტინეს სიცოცხლეში ბაგრატის მოღვაწეობაზე, მაგრამ, სავარაუდოა, რომ იგი მამის სიცოცხლეშივე განაცხადებდა ტახტზე პრეტენზიას და როგორც ჩანს, გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია – „ფავნელის დაწერილის“ მიხედვით, ის მამის, კონსტანტინეს თანამეფეც კი გამხდარა. ჩანს, კონსტანტინე იძულებულია დაუთმოს ძეს - ბაგრატს და აღიაროს თანამეფედ. ძნელი სათქმელია კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ბაგრატის „თანამეფობა“, იყო ეს კლასიკური ფორმა „თანამეფობის“ ინსტიტუტისა თუ არა, მაგრამ **„ფავნელის დაწერილის“** ცნობა, რომ შეუვალობას ერთად იძლევიან კონსტანტინე და ბაგრატი, სავსებით რეალური ჩანს.

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს „მატიანე ქართლისას“ მინიშნება იმის თაობაზე, რომ ბაგრატი იყო უმცროსი შვილი კონსტანტინესი; **ე.ი.**

**ბაგრატის თანამეფედ გამოცხადება ნიშნავდა არა მარტო თანამეფობის ინსტიტუტის ამოქმედებას, არამედ მემკვიდრეობის გადაცემის წესის დარღვევასაც: კონსტანტინეს ჰყავს უფროსი ვაჟი გიორგი, მაგრამ მამის თანამოსაყდრედ უმცროსი შვილი გვევლინება.**

ახლა ვნახოთ რას წერს ამ პერიოდის ამბებთან დაკავშირებით სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი და შევადაროთ მისი ცნობები „მატიანე ქართლისას“ და „ფავნელის დაწერილის“ ცნობებს; დრასხანაკერტელი წერს: *„[სუმბატმა] დაინახა განხეთქილება ეგრისელთა, რომლებიც სასწრაფოდ დაიყვნენ და უკვე მომზადებული იყვნენ სხვა ვინმე კონსტანტინეზე უფრო მძლავრი დაეყენებინათ თავიანთ მეფედ“* (4. 111) - ეს სიტყვები ეხება სწორედ იმ პერიოდს, როდესაც „აფხაზთა სამეფოში“ იწყება შიდა არეულობის ხანა და, სავარაუდოდ, აქედანაა საფიქრებელი ბაგრატისაგან „თანამეფობისათვის“ ბრძოლის დაწყება.

ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინეს უფროსი ვაჟი და ტახტის კანონიერი მემკვიდრე - გიორგი არ ცნობდა ძმის, ბაგრატის უფლებებს, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ბაგრატის გარდაცვალებამდე გიორგისა და ბაგრატის ფაქტობრივ თანამეფობასთანაც გვაქვს საქმე; კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ ბაგრატი ასე ადვილად არ დათმობდა მამის სიცოცხლეშივე დაკავებულ პოზიციებს და არც გიორგი განაცხადებდა უარს კანონიერ უფლებებზე (ის იყო უფროსი ძე); სავარაუდოდ, ორივე (გიორგი და ბაგრატი) თვლიდა თავს მეფედ და თუ იურიდიულად კონსტანტინე და ბაგრატი თანამეფობდნენ, ფაქტობრივად, ახლა უკვე გიორგისა და ბაგრატის თანამეფობასთანაც გვაქვს საქმე. ამიტომ წერს მემატიანე: ***„იშლებოდა ქუეყანა აფხაზეთისა ჟამ რაოდენიმე“;*** იმდენად სერიოზული პრობლემა შექმნა ბაგრატმა, რომ მემატიანე ქვეყნის დაშლის პროცესთანაც კი აიგივებს. როგორც ჩანს, ბაგრატი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გაუწიოს მეტოქეობა უფროს ძმას, გიორგის და „აფხაზეთში“ იბატონოს. ბაგრატი ყოფილა გურგენ ერისთავთ-ერისთავის სიძე და „აფხაზთა სამეფოში“ ტახტისთვის ბრძოლის საქმეში მას ***„უშუელდა გურგენ ყოვლითა ძალითა მისითა“.***

გიორგის რომ ბაგრატი რეალურად ეცილებოდა ტახტს და მმართველობას უყოფდა, ამას მოწმობს „მატიანე ქართლისას“ ცნობაც: ***„ვიდრე არა მიიცვალა ბაგრატ, არა იყო მშუდობა. და შემდგომად სიკუდილისა მისისა მიიღო სრულობით მეფობა აფხაზთა გიორგი მეფემან“*** (7. 265), ე.ი. მხოლოდ ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ მიიღო გიორგიმ მეფობა „სრულობით“. როგორც ვნახეთ, კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგაც ბაგრატი არ თმობს პოზიციებს და განაგრძობს „მეფობას“ ამჯერად უკვე ძმასთან - გიორგისთან ერთად. აქ **ძნელი სათქმელია, გიორგისა და ბაგრატის „თანამეფობა“ იურიდიულად გაფორმებული აქტია თუ ძალაზე დამყარებული ფაქტობრივი მდგომარეობა,** მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ფაქტი ერთია, მხოლოდ ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ***„მიიღო სრულობით მეფობა აფხაზთა გიორგი მეფემან“,*** მანამდე კი მას ამ მეფობის **„სრულობას“** ბაგრატი ეცილებოდა, უყოფდა.

ჩვენამდე მოღწეულ „აფხაზთა მეფეების“ ნუსხაში, ე.წ. „მეფეთა დივანში“, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის მიერ იქნა აღმოჩენილი (3), „აფხაზთა მეფეების“ ჩამონათვალში არ იხსენიება ბაგრატ კონსტანტინეს-ძე. ეს ფაქტი, თითქოს ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ დადასტურებულად აღიარებულ დებულებას ბაგრატ-კონსტანტინესა და ბაგრატ-გიორგის თანამეფობის თაობაზე, მაგრამ, თუ გავიხსენებთ რა მიზეზით იქნა შედგენილი აღნიშნული „დივანი“, მაშინ არ არის გასაკვირი ამგვარი „უზუსტობა“. ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ - ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.), როდესაც დაიკავა დედის ხაზით „აფხაზთა მეფის“ ტახტი და მიიღო ტიტული „მეფე აფხაზთა“, საგანგებოდ გამოსცა „მეფეთა დივანი“, სადაც ხაზი გაუსვა მის კანონიერ უფლებას ამ სამეფოს ხელისუფლებაზე. მან მეფეთა ჩამონათვალში შეიტანა ის პირები, რომლებიც კანონიერი მემკვიდრეები იყვნენ „აფხაზეთის“ სამეფო ტახტის. ამიტომ ვერ შევიდნენ ამ ნუსხაში შავლიანთა დინასტიის წარმომადგენლები, არადა ცნობილია, რომ ისინი გარკვეულ დროს იყვნენ „აფხაზეთში“ გამეფებულნი (5). როგორც ჩანს, იმდროინდელ „აფხაზეთში“ ბაგრატ III-ის მიერ თანამეფობის მომენტი არ იქნა სამეფო ტახტის კანონიერ

მფლობელობად აღიარებული და ასეთი ფაქტები არ აისახა მის მიერ გამოცემულ ე.წ. „აფხაზეთის ისტორიაში“.

რაც შეეხება აღნიშნული თანამეფობის ფაქტის დათარიღების საკითხს: „ფავნელის დაწერილის“ მიხედვით, როდესაც „აფხაზთა სამეფოში“ ერთდროულად მეფობენ კონსტანტინე და ბაგრატი, კახეთსაც ასევე ერთად მართავენ ფადლა და კვირიკე ქორეპისკოპოსები (შეიძლება კახეთს ერთად არ მართავენ და „ფავნელის დაწერილში“ დადასტურებული ცნობა გვიანდელი პერიოდის ავტორის მიერ ძველი ამბების განხილვის კონტექსტშია მოცემული და ერთად იმიტომ იხსენიებიან ქორეპისკოპოსები, მაგრამ „აფხაზთა სამეფოში“ ნამდვილად ერთდროული მეფობა, თანამეფობა უნდა იგულისხმებოდეს, რადგანაც, სხვა შემთხვევაში ბაგრატი კონსტანტინე მეფესთან ერთად არ იქნებოდა მოხსენიებული; ლიხს იქეთ ანუ დასავლეთ საქართველოში - იმ პერიოდში, რა პერიოდსაც ასახავს დოკუმენტი, კონსტანტინე და ბაგრატი მხოლოდ ჩვენ მიერ განხილული პიროვნებები არიან. მაშასადამე, რადგან ბაგრატი მეფობით იხსენიება და სხვა წყაროებით მისი დამოუკიდებლად ზეობა არ დასტურდება, გამოდის, რომ მან მხოლოდ თანამეფობის პერიოდში იმეფა მამასთან და ძმასთან ერთად; დამოუკიდებლად მმართველობა მას არ ღირსებია; ფადლაც, კვირიკეც, კონსტანტინეც არიან მეფე-ქორეპისკოპოსები და მათთან ერთად ბაგრატის მოხსენიება მის მეფობას ნიშნავს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მეფის წოდებით და მეფე-ქორეპისკოპოსთა გვერდით არც „ფავნელის დაწერილში“ არ მოიხსენიებოდა; იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიქაელ მემღუიმე ადრე, სხვადასხვა დროს გაცემულ თავისუფლების ბრძანებებზე მოგვითხრობს, ის ფაქტი, რომ კონსტანტინეს შემდეგ ბაგრატს ასახელებს თავისუფლების ბრძანების გამცემად, ბაგრატის მეფობაზე მიანიშნებს; ე.ი. მიქაელ მემღუიმეს მიუღია, ან მოუპოვებია და ლიხს იქეთიდან წამოუღია ის დოკუმენტები, რომლებიც გაუციათ მეფეებს - კონსტანტინეს და ბაგრატს, წყაროებში რადგანაც კონსტანტინეს შემდეგ გიორგი იხსენიება მეფედ („მატიანე ქართლისა“, „მეფეთა დივანი“), ბაგრატის მეფობა მხოლოდ კონსტანტინესთან და გიორგისთან თანამეფობის კონტექსტში შეიძლება

მოიაზრებოდეს). ფადლა I-ის და „აფხაზთა მეფე“ კონსტანტინე III-ის მეფობა ერთმანეთს ემთხვევა IX საუკუნის უკანასკნელ პერიოდში (2. 17). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, კვირიკე I კახეთს განაგებდა 892 – 918 წლებში (8. 499) (თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერედვის 906 წლის წარწერა იძლევა ამ დათარიღების უფრო მეტად დაკონკრეტების შესაძლებლობას და არ არის გამორიცხული, რომ 20-იანი წლების დასაწყისამდეც კი ემართა კვირიკე I-ს კახეთი, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საკითხია და ამჯერად ამ კუთხით სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. იხ. 1. 82-84; შდრ. 10. 170-172; 6. 245). კონსტანტინე III „აფხაზთა მეფე“ იყო 893-922 წლებში, მაშასადამე, ბაგრატი კონსტანტინე III-ის თანამეფე გამხდარა 918 ან X საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე, ანუ კვირიკე I-ის გარდაცვალებამდე. შესაბამისად, ბაგრატისა და მისი ძმის, გიორგი II „აფხაზთა მეფის“ თანამეფობა განისაზღვრება 922 წლიდან თავად ბაგრატის გარდაცვალებამდე პერიოდით (ბაგრატის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით პირდაპირი ცნობები წყაროებში არ მოიპოვება)

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დასტურდება „აფხაზთა სამეფოში“ ერთდროულად ორი მეფის მმართველობა, ანუ **„თანამეფობის“** ინსტიტუტი. გარდა ამისა, შესამჩნევია ტახტის გადაცემის მემკვიდრეობითი წესის დარღვევის ფაქტიც, როდესაც კონსტანტინე III-მ თანამეფედ გამოაცხადა არა უფროსი ძე გიორგი, არამედ **უმცროსი** ძე - ბაგრატი. გარკვეული პერიოდის მანძილზე, თანამეფეებად მიგვაჩნია გიორგი II „აფხაზთა მეფე“ და მისი ძმა ბაგრატი, რომელიც ასევე მამის, კონსტანტინე III-ის თანამეფეც იყო. თუმცა, წყაროების სიმცირის გამო, **ძნელი სათქმელია „აფხაზთა სამეფოში“ „თანამეფობა“ იურიდიულად გაფორმებული აქტი იყო თუ ძალაზე დამყარებული ფაქტობრივი მდგომარეობა.**

**ბიბლიოგრაფია:**


1. შალვა **გლოველი.** „აფხაზთა სამეფო“. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 2004.
2. დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984.
3. ექვთიმე **თაყაიშვილი.** რას შეიცავდა ე.წ. აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში. კრ. „ძველი საქართველო“. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. II. ტფ. 1913.
4. **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1965.
5. მარიამ **ლორთქიფანიძე.** „აფხაზთა მეფეთა დივანის“ და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის შრომაში აფხაზთა მეფეების შესახებ არსებულ ცნობათა შედარებისათვის. თსუ შრომები. 328. თბ. 1999.
6. მარიამ **ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.). თბ. 1963.
7. მატიანე ქართლისა. წგ.: ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955.
8. თენგიზ **პაპუაშვილი.** კვირიკე I. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.. 5. თბ. 1980.
9. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI_XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს : დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. I. თბ. 1991.

10. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980.

**Shalva Gloveli**

## The Pieces on History of the Joint Reigning in Georgia

The article deals with the issues of the history of the Western Georgian state, so called Apkhaz Kingdom. It is showed that the politics of that state maintained the institution of joint reigning. It is also said, sometimes there the rules of succession were violated. For instance, king Konstantine III declared his co-reigner not senior son Giorgi, but junior Bagrat. We hold that for a certain period both btothers had been reigning jointly. The junior Bagrat reigned also jointly with his father Konstantine III. The lack of historical data does not give us opportunity to say was the joint reigning in the ApkhazKingdom legalised act or actual state based on force. The article also clarifies dates of such joint reigns. It is recognized that coreigning of Bagrat with Konstantine III started in 918, before the death the King of Kakheti Kvirike I. Thus, the joint reign of Giorgi II and his brother Bagrat took place since 922, from the death of Konstantine III up to the death of Bagrat himself.